პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 178 (13263) | პარასკევი, 30 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

წარჩინებული მეჩაიე

ორასი ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში სერიოზული წვლილი შეიტანეს წარჩინებულ მეჩაიეებმა. ისინი გაორკეცებული ენერგიით შრომობენ პლანტაციებში. განაღდებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ. ამ მხრივ აღსანიშნავია პოფელ მიქაველ კოლმეურნეობის მეჩაიეთა მუშაობა.

ამ კოლმეურნეობაში ბევრი მოწინავე მეჩაიეა. მათი თავდადებული შრომით იქმნება ხეავი და ბარაქა. მეჩაიეთა ძველი გვარდიის სახელოვან წარმომადგენლებს მხარში უდგანან ახალგაზრდა მეჩაიეები, რომელთა ხელებით სრულდება კოლმეურნეობის გეგმის ნახევარზე მეტი. აქაურმა ახალგაზრდებმა სახელი გაითქვეს არა მარტო ამ სოფელში, არამედ მთელ რაიონში.

ეს ქალიშვილი — ციალა მიქავა — მოწინავეთა შორის მოწინავეა. ალალი შრომით ჭობალიური სოფლის მშრომელთა სიყვარული მოიპოვა. დილით, ინათებს თუ არა, ციალას პლანტაციებში ნახავთ. ყოველდღიური, განუწყვეტელი კრეფით ამარავლებს წარმატებებს. ახლა დღეში 50-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

სურათზე: მოწინავე მეჩაიე ციალა მიქავა.

ფოტო ა. ყუფუნიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი მილიციელი

მილიციელად დალოცვა ხალხისადმი ერთგულების ფიცით იწყება:

„...ჩემი ძალღონის, ბოლო საჭიროების შემთხვევაში თვით სიცოცხლის, დაუზოგავად კეთილსინდისიერად შევასრულებ ჩემთვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური საკუთრების, პიროვნების, მოქალაქეთა უფლებებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დაცვისას დანაშაულებრივ ხელყოფათაგან“.

ლურჯმაზარიანი კაცი თვით სამართლიანობის სამსახურშია. ეს სამსახური ყველას როდი ძალუძს. იგი ძნელიც არის და საშიშიც. იგი დიდ ფიზიკურ და სულიერ დაძაბვას მოითხოვს. მოვალეობის მაღალი გრძნობა, მამაცობა და გმირობა ჩვენი მილიციის პროფესიული თვისებები გახდა.

საბჭოთა ადამიანები დიდ პატივს სცემენ თავიანთ მილიციას. მშრომელებს არა სურთ შეურიგდნენ ხულიგნობას, მუქთახორობას, ლოთობას, თავაშვებულობას. მილიონობით მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე ჩადგა მილიციის ნებაყოფლობითი თანაშემწეების რიგებში — სახალხო რაზმეულთა რიგებში — და მასთან ერთად ეწევა შეურიგებელ ბრძოლას სამართლის დარღვევთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვისაც არა სურს დაემორჩილოს სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებს.

ამ მხრივ მცირე წარმატებები როდია მიღწეული. ჩვენში დანაშაულობა წლითიწლობით მცირდება. გაქრა ან ქრება სამართლის დარღვევის ბევრი სახე. ბოლო მოეღო პროფესიულ დანაშაულობას. სულ უფრო მატულობს იმ დასახლებული პუნქტების რიცხვი, სადაც არ არის დანაშაულებრივი ჯამოვლინებანი.

საბჭოთა მილიციის მუშაობაში მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები მოხდა. განახლდა მისი შემადგენლობა. მარტო რუსეთის ფედერაციაში პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მის რიგებში ათი ათასზე მეტი კაცი გაგზავნეს, ესენი მოწინავე, განთლებული ადამიანები არიან. ახლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკთა უდიდეს უმრავლესობას უმაღლესი და საშუალო განათლება, კარგი პროფესიული მომზადება აქვს. ჩვენს ქვეყანაში 32 უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი მაღალკვალიფიციურ კადრებს უზრდის მილიციას მისი თითქმის 12 ათასი მუშაკი დაუსწრებლად ან სხვა უმაღლესი სასწავლებლების საღამოს განყოფილებებზე სწავლობს.

ყალიბდება ახალი ტიპი მილიციის მუშაკისა, რომელშიც შეხამებულია განათლება და მაღალი მოქალაქეობრივობა, პედაგოგისა და მტკიცე მებრძოლის თვისებები. ადამიანთა ხასიათში მანკიერების მკურნალობა ნიშნავს მათს ფსიქოლოგიაში ღრმად ჩაწვდომის, მისი შეცვლის უნარს. და ვისაც თავის მოვალეობად გაუხდია ასეთი მოღვაწეობა, იგი მკვლევარი უნდა იყოს, რათა ხედავდეს დანაშაულობათა ფესვებს, მიზეზებს, რომ ამ მიზეზების ანალიზზე დაყრდნობით შეეძლოს აღკვეთოს სამართლის დარღვევა, შეაჩეროს ადამიანი დანაშაულისაკენ მიმავალ გზაზე.

ლურჯმაზარიან ადამიანთა ძმის შრომას თავისი რომანტიკაც აქვს. კიროვში ბცნობენ და პატივს სცემენ უფროს სერჟანტ ივანე პეტრეს-ძე კოკოვიხინს. იგი გაბედული და კეთილშობილი ადამიანია. მის მამაცობაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს. მან დააკავა 58 სიხსნის სამართლის დამნაშავე, აღკვეთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მოპარვის 28 შემთხვევა. ერთხელ, როცა საშიშ დანაშაულს უვნებელყოფდა, ივანე პეტრეს-ძე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ შეიპყრო და განაიარაღა იგი. და ისეთი, როგორიც უფროსი სერჟანტი კოკოვიხინია, ჩვენს მილიციაში ათასობით მუშაობს.

მილიცია არა მარტო სჯის, იგი აღზრდასაც ეწევა. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების თვით ბუნებით მას მინდობილი აქვს აღმშენებლობის ფუნქციებიც.

ოთოქმის ნახევარი საუკუნის წინათ ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი, მიმართავდა რა იმ ადამიანებს, რომლებიც მოწოდებული არიან ებრძოდნენ დანაშაულობას, წერდა: „ჩვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ქვეყნის მატერიალური დოვლათის გადიდება“. ავლინებს, რა უყაირათობასა და მფლანგველობას, თვალსაზეოვნად და წარმატებებს, მილიცია არ სჯერდება ფაქტების რეგისტრაციას, დარღვევათა აღკვეთას. იგი იმუშავებს დანაშაულობათა თავიდან აცილების ღონისძიებებს.

იშვიათი არ არის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამოკვლევები და რეკომენდაციები ეხმარება საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებს სრულყონ სამრეწველო საწარმოების. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა. შარშან ლიპეცკის ოლქის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებთან ერთად მოაწყო სოციალისტური საკუთრების დაცვის დათვალიერება. ლიპეცკის თაოსნობა სხვა ოლქებში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გადაიღეს. მაგალითად, მოსკოვში ასეთ დათვალიერებაში 84 ათასი კაცი მონაწილეობდა, ქალაქის მილიციის ორი ათასი მუშაკი უწყობდა ხელს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის მდგომარეობის, ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის შენახვის წესის შემოწმებას.

ასეთ ღონისძიებათა შედეგად შემცირდა სახალხო დოვლათის დატაცების შემთხვევები, ბევრ საწარმოში ამაღლდა მასალების ეკონომია. დასავლეთ ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელ რიგ საწარმოებში ლიკვიდირებულია ქსოვილების, ნართის, ქრომისა და სხვა მასალების ხარჯვის ნორმების გადიდების ფაქტები. დათვალიერების კომისიების რეკომენდაციებმა შესაძლებლობა მისცა სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაეცხინჯა 1.683 ნორმა. წლის განმავლობაში აქ დაზოგილ იქნა 175 ათასი მანეთის მასალები.

ჩვენი ქვეყანა ამყობს თავისი მილიციის ძნელი, მაგრამ საპატიო შრომით და დიდად ეფასებს მას. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 27 ივლისს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა საბჭოთა მილიციის ორი ათასი მუშაკი.

ეს ღირსეული ჯილდოა.

ლურჯმაზარიანი ადამიანები ყოველთვის იქ არიან, სადაც საჭიროა დახმარება — დამნაშავის შეპყრობა ან წყალწალებული ბავშვის გადარჩენა, გაუფრთხილებელი ადამიანის გაჩერება ან დაშავებულთან სასწრაფოდ ექიმის გამოძახება, დაკარგული ნათესავების მოძებნა ან მოზარდის მოწყობა სამუშაოზე...

დიდება საბჭოთა მილიციას!

„იზვესტიის“, 29 ივლისის მოწინავე

რესპუბლიკის სანარმოებში

შვიდწლედი — ვადამდე!

დავალება შესრულებულია

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქიმიური ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ხუთნახევარი თვით ადრე უპატაჟა შვიდწლიანი გეგმის შესრულება. ქიმიკოსებმა 114.5 პროცენტით გაანაღდეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შვიდი წლის დავალება და ათიათასობით მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი მისცეს სამშობლოს.

ქარხნის კოლექტივმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საწარმოს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიღებულია 133 ათასი მანეთი მოგება, აქედან ზეგეგმითი მოგება, რამდენიმე ათას მანეთს შეადგენს.

ქარხნის კოლექტივმა იაესრა შვიდწლედის ბოლომდე დამატებით მისცეს ქვეყანას სულ მცირე ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია.

მოდის მარგანეცი

რკინიგზის საკავშირო დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ჭიათურელი რკინიგზელები, რომლებიც მარგანეცის დამტვირთავი პუნქტის კოლექტივს ეჯიბრებიან მეტი შავი ოქროს გაგზავნისათვის.

ჭიათურელმა რკინიგზელებმა ნახევარი წლის დავალება 25 ივნისისათვის შესრულეს. მარტო ივნისში 12.560 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი მიაწოდეს მეტალურგიულ ქარხნებს.

შ. სუქნიძე,
ჭიათურის რკინიგზის საგდურის დისპეტჩერი.

მელოკომოტივეთა წარმატება

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი კარგი შრომითი წარმატებებით ხვდება რკინიგზელის საკავშირო დღეს. წელს 15 ივლისისათვის გეგმის გადაჭარბებით გადაზიდულია 209 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. სასახელოდ მუშაობენ მემანქანეები კომუნისტური შრომის დამკვრელები ბ. ხაჩაშუელი, ა. ჯაფარაშვილი, ნ. დავითაძე, ვ. ხვედელიძე და სხვები.

დ. ფარეშუზოვი.

ენგურჰესის მშენებლობაზე

ზენარალური შეტევა ენგურჰესზე დღითი დღე სულ უფრო ძლიერდება. ჰიდრომშენებლები მედგრად ებრძვიან სულ ! კლდეებს, ენგურის ტალღებს. შედეგიც სასახელო აქვთ. აქ გეგმები გადაჭარბებით სრულდება.

ხაერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით რესპუბლიკის ახალგაზრდებს. ენგურჰესიც ხომ ახალგაზრდების ძალებით შენდება. ვის არ ნახავთ აქ — კახეთიდან, ჭართლიდან, ფშავ-თუშეთიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან, საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს. მათ გვერდით ძმურად შრომობენ რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, უზბეკები.

• • •

ამ სურათზე თქვენ ხედავთ გვირაბგამყვანებს მ. ხუშენიას (მარცხნივ) და ვ. ბოგბას, რომლებიც სანიმუშონი არიან შრომაში. ეს ახალგაზრდები კომკავშირული საგზურით მოვიდნენ ამ დიდ მშენებლობაზე. ისინი ყოველდღიურ გეგმებს 110-120 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ბ. შანავასი.



საბჭოთა კავშირ-უგანდის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით უგანდის პრემიერ-მინისტრი აპოლო მ. ობოტე 1965 წლის 21-28 ივლისს ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა სსრ კავშირში. როგორც საბჭოთა კავშირ-უგანდის ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, უგანდის პრემიერ-მინისტრი და მისი თანმხლები პირები, გარდა მოსკოვისა, ეწვივნენ ალეთეთ ეოლგოგრადსა და ლენინგრადს. უგანდის დელეგაციას ყველგან გულთბადი შეხვედრა მოუწყვეს, რაც მოწმობს საბჭოთა კავშირის ხალხთა გულწრფელ მეგობრობას უგანდის ხალხისადმი.

უგანდის პრემიერ-მინისტრი მ. ობოტე-მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ს. ბოგწენიძემ.

საუბრების დროს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა და უგანდის სახელმწიფო მოღვაწეებმა, მოხდა აზრთა საცვლა ბინადრ ეაზიერიან საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და უგანდის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემოგომი განვითარების საკითხებზე. საუბრები მიმდინარეობდა გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

მხარეებმა გამოთქვეს მხურვალე სურვილი განამტკიცონ მეგობრობა და ურთიერთ გაგება ორ ქვეყანას შორის, აგრეთვე განაგრძონ თანამშრომლობა ეკონომიურ, სავაჭრო, ტექნიკურ და კულტურულ დარგებში.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონისძიებით ეცადონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. მათ განაცხადეს, რომ სავსებით უმერენ მხარს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

ორივე მხარემ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება ვიეტნამში მდგომარეობის შემდგომი გამწვავების გამო, დაგმო აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და იმპერიალისტური ჩარევა ვიეტნამის საქმეებში.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ უგანდის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, აგრეთვე აზრთა გაცვლა-ფლა მან ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა და უგანდის მეგობრობა-ბის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. (საქლესი).

ცნობარი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“

ფაქტიურ მასალას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ, მისი შექმნიდან დღემდე, შეიცავს განახლებული და გადამუშავებული ცნობარი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“, იგი გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

წიგნი ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენებს. იგი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ პარტიის გმირულ გზას.

ცნობარში დაბეჭდილია მონაცემები ყრილობებისა და კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შესახებ, მასალები ზონაპარტიული ცხოვრების შესახებ, ნაჩვენებია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ცვლილებანი, მოცემულია ცნობები პარტიული პრესის ტაქტი ილუსტრირებულია სქემებითა და დიაგრამებით. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ი. მელიქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და სატრანსპორტო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ ოსეფის-ძე **მელიქიშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კეკენაძე

თბილისი,
1965 წლის 29 ივლისი.

• მინდვრებსა და პლანტაციებიდან •

ჯილდოს საპასუხოდ

ბათუმი. (ტელეფონით). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი შრომითი აქტივობა გამოიწვია ბათუმის რაონისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებამ.

ბათუმელმა მეჩაიეებმა ეს მაღალი ჯილდო მოიპოვეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებით. ივლისში ბათუმელებმა უფრო გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი და ახალ წარმატებებსაც აღწევენ. წელს სეზონში გეგმით უნდა მოკრიფონ 8.211 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილი აქვთ 6.700 ტონამდე. ივლისში გეგმით მოსაკრეფი იყო 1.807 ტონა „მწვანე ოქრო“. ბათუმელმა მეჩაიეებმა ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდეს ეს დავალება.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული მეჩაიეები პირობას დებენ ივლისის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ ასობით ტონა ჩაის ფოთოლი, მისცენ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

პრეფენ ყოველგვარ ამინდში

ლანჩხუთი. (ტელეფონით). რაიონის მეჩაიეებმა ივლისის მეორე ნახევარში საგრძნობლად გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ივლისში გეგმით უნდა მოკრიფონ 2.200 ტონა ჩაის ნედლეული, უკვე მოკრეფილია 2.250 ტონაზე მეტი. ივლისის მეხუთე ხუთდღიურში რაიონში მოიკრიფა 467 ტონა „მწვანე ოქრო“. მეექვსე ხუთდღიურში უფრო მეტი მოიკრიფება.

ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდნენ აცანის, მამათის, ლესის, ზემო აკეთის, ხიდმაღალას, ლანჩხუთის კოლმეურნეობები. ლანჩხუთელი მეჩაიეები იმისათვის იბრძვიან, რომ ივლისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ ასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

პური—სახელმწიფოს

ხაშური. (ტელეფონით, სპეც. კორ.). ხვავიანი ალოობაა კოლმეურნეობებში, — თქვა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. აბაზაძემ, — გუშინდელი დღის ჩათვლით პურეული უკვე მომკილია 3.500 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით მიღებულია 4 ცენტნერით მეტი მარცვალი. ამასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვა. გეგმით სახელმწიფოს 665 ტონა უნდა მივყიდოთ. ეს დავალება ამ დღეებში შესრულდება.

დროულად და უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი სოფელ ვაყის კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ მხვნელ-მთესველებმა. აქ ისე მოაწყეს მუშაობა, რომ თორმეტ სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურები მომკეს ათას ჰექტარზე და ამით მთლიანად დაამთავრეს მოსავლის აღება. ამ კოლმეურნეობის კომბაინერის ანდრო აკოფოვის პირობა იყო თორმეტ სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აეღო 200 ჰექტარზე, ფაქტიურად მომკა 300 ჰექტარი.

კოლმეურნეობებიდან ყოველდღიურად მარცვლოთ დატვირთული ავტომანქანები მიჰქრიან დამამზადებელი პუნქტებისაკენ.

ქარელი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება ორგანიზებულად მოუწყვიათ ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში. აქ წელს საგულდაგულოდ მოუარეს პურის უანგებს, და შედეგიც სანიხარულოა: საშუალოდ ჰექტარზე მკიან 20 ცენტნერ მარცვალს ნაცვლად 12 ცენტნერისა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი **შალვა გეგელაშვილი**. მან შვიდ სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი მომკა 130 ჰექტარზე ნაცვლად 70 ჰექტარისა და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი პური.

კვლავ კარგად მუშაობენ ქარელის კოლმეურნეობაში. აქ გეგმით ასაღები აქვთ 320 ჰექტარი ამ სამუშაოს სულ მალე დაამთავრებენ. კომბაინერი **ალექსანდრე ნაფირაშვილი** პირველობას არავის უთმობს, იგი ყოველდღე მკის ცამეტ ჰექტარ ხორბალს და ამით ნორმას 5 ჰექტარით აჭარბებს.

— რაიონის მხვნელ-მთესველებმა, — განაცხადა საუბარში მშრომელთა დეპუტატების ქარელის რაიხალჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კოპაძემ,—პურეულის აღებასთან ერთად სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 1.260 ტონა პურის მარცვალი და ამით გეგმა შესრულდა.

ახალი ფილმი კამოზე

ერევანი, 29 ივლისი. (საკდესის კორ.). ეკრანზე კვლავ ბორცი შეისხა ლევენდარული გმირის კამოს (ს. ტერ-პეტროსიანის) სახელ. დღეს სტუდია „სომხურ ფილმში“ გიმართა მხატვრული ფილმის „საგანგებო დავალების“ საზოგადოებრივი განხილვა. ფილმის სცენარი, დაწერა კ. ისაევმა.

კამოს გმირულ საქმიანობას რეჟისორები ს. კეფორკოვი და ე. კარამიანი მეორე სურათს უძღვნიან, რვა წლის წინათ მათ შექმნეს სურათი „პირადად ცნობილია“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. მთავარ როლს კვლავ გურგენ ტუნუნცი ასრულებს.

მოწოდება ვილსონის მთავრობისადმი

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). გუშინ ლორდთა პალატაში გაიმართა კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, რაც ძირითადად განისაზღვრა ვიეტნამის პრობლემისა და ამ საკითხში ინგლისის მთავრობის პოზიციის განხილვით.

კამათში გამოვიდა ლორდ ბროკეი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა: პრეზიდენტ ჯონსონის განცხადება გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე მოწმობს, რომ ამერიკამ გადაწყვიტა ტოტალური ომი აწარმოოს ვიეტნამის წინააღმდეგ. შეიქმნა ახალი სიტუაცია, რომელიც ინგლისის მთავრობისგან მოითხოვს ახალ მიდგომას, თქვა ლორდმა ბროკეიმ. მან მოუწოდა ვილსონის მთავრობას, „ამერიკის „ამერიკის შეერთებული ფლიტების“ და აღნიშნა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ინგლისს რაიმე მორალური უფლება ჰქონდეს, რათა მხარი დაუჭიროს მშვიდობის დამყარებას ვიეტნამში.

ტრიბუნალის განაჩენი

პარიზი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს სამხედრო ტრიბუნალმა 15 წლის პატიმრობა მიუსაჯა ლეო დე კონდეს—პრეზიდენტ დე გოლზე თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს, როგორც ცნობილია, თავდასხმა მოხდა 1962 წლის აგვისტოში პარიზის მახლობლად დაბა პტი-კლამარში. დანარჩენ შეთქმულთა გასამართლების დროს, რომლებმაც მომამზადეს და განახორციელეს თავდასხმა, დე კონდე სახელგარეთ იმალებოდა. პროცესი დიდი ხნის დამთავრებული იყო, როცა საფრანგეთის პოლიციამ მოაზერხა დე კონდეს დაპატიმრება. როგორც ცნობილია, თავდასხმის სამ სხვა მონაწილეს 1963 წლის გაზაფხულზე სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ სიკვდილით დასაჯეს მხოლოდ ერთი — ბასტიენ ტერი, ორს კი სიკვდილის სასჯელი შეუცვალეს პატიმრობით.

იემენის ახალი მთავრობის განცხადება

სანა, 29 ივლისი. (საკდესი). გუშინ, აქ, გაიმართა იემენის არაბთა რესპუბლიკის ახალი მთავრობის პირველი სხდომა. სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ იემენის რესპუბლიკა აპირებს განახორციელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. ახალი მთავრობის საქმიანობას, ხაზგასმულია განცხადებაში, საფუძველად დაედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები და ბანდუნგის კონფერენციის პრინციპები. ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკა, აღნიშნულია აგრეთვე განცხადებაში, ხელს შეუწყობს აზია-აფრიკის სოლიდარობის განმტკიცებას და განმათავისუფლებელ მოძრაობებს მთელ მსოფლიოში.

გომგავენ მონასტერს

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). ჰაერიდან თავს დესანენ ბუდისტთა მონასტერს, რომელიც საიგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 მილზე მდებარეობს. თავდასხმის დროს დაიხოცა და დაიჭრა 12 ბერი. იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის საკენტოს საიგონელი კორესპონდენტი იმოწმებს ოფიციალურ წყაროებს და იტყობინება, რომ თავდასხმა „შეცდომით“, მოხდა და რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი, ვისი იყო თვითმფრინავები — ამერიკის თუ სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო-საჰაერო ძალებისა. ბერებმა განაცხადეს, ჰაერიდან რაკეტები დაგვშინეს, როდესაც მონასტრის ბაღში ვიყავითო.

ემზადებიან ომისათვის

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). შეერთებული შტატები სამხედრო მშენებლობის ფართო პროგრამას ახორციელებენ სამხრეთ ვიეტნამში, აცხადებს „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ კორესპონდენტი უ. მაკკეფინი იმოწმებს ავტორიტეტულ წყაროებს და წერს, რომ მშენებლობის პროგრამის შესრულების შემდეგ სამხედრო ნაგებობათა მთელი კომპლექსი იმახე ნაკლები არ იქნება, რამდენიც თავის დროზე სამხრეთ კორეაში აშენდა.

შეერთებული შტატები, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, ხანგრძლივი ბომბსათვის ემზადებიან და ეს ნაგებობანი საშუალებას მისცემენ, რომ სამხრეთ ვიეტნამში იყოლიონ 250-300 ათასი ჯარისკაცი.

გაძლიერებული ტემპით შენდება ახალი სამხედრო ბაზები და ფართოვდება ძველი ბაზის სანაპიროს გასწვრივ და მატერიაზე და-ნანგის, კუინენის, პლეიკუს, ბიენ ჰოისა და სხვა რაიონებში.

ამ მშენებლობის ღირებულებას საიტემლოდ ინახავენ, აღნიშნავს კორესპონდენტი, მაგრამ მარტო საბომბავლო რმანიებმა მიიღეს 170 მილიონი დოლარის კონტრაქტები.

ჩვენს ღიად

ეკონომიკაში

ეკონომიკა

პარტიის რაიკომი
და მისი ინსტრუქტორი

ინსტრუქტორი, ბევრი რამის მთქმელია ეს სიტყვა. იგი რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების დამაკავშირებელი ძირითადი რგოლია. მისი დახმარებით პარტიულ კომიტეტები პარტიულ ორგანიზაციებზე მუდმივ კავშირს მასებთან, აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო კოლექტივების საქმიანობაში. ხალხთან ახლოს და მოვლენების შუაგულში ყოფნა ინსტრუქტორს საშუალებას აძლევს დროულად შეიტყოს შრომითი კოლექტივის ცხოვრების სიახლენი, გიგრკვეს მისი ძალის წყაროებსა და მიზეზებში.

პარტიის ახალქალაქის რაიკომის ინსტრუქტორთა უმრავლესობა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლებით არის და აქვს პარტიული მუშაობის გამოცდილება. თვითეული ინსტრუქტორზე მიმაგრებულია 38-40 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობისთვისაც ისინი მთლიანად პასუხისმგებელნი არიან. ინსტრუქტორებს აქვთ თავიანთი მუშაობის ერთი ფეხის გეგმა, განხილული და დამტკიცებული განყოფილებათა მიერ.

ინსტრუქტორ რ. ეფრიკიანის ზონაში შემავალ სოფელ ხელგუმოს კოლმეურნეობას წლების მანძილზე მარცვლეულისა და კარტოფილის მაღალი მოსავალი მოჰყავდა. მაგრამ ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი საგრძნობლად ჩამორჩებოდა მეცხოველეობაში. შარშან ხულგუმელებმა ვერ შეასრულეს წელიწადობის გეგმა — საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.375 კილოგრამი რძე მიიღეს 1.550 კილოგრამის ნაცვლად.

რაში მდგომარეობდა ჩამორჩენის მიზეზები და რა ღონისძიებანი უნდა განხორციელებინათ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად?

რაიკომს ინსტრუქტორმა მიზანშეწონილად ცნო ეს საკითხი პირველადი პარტორგანიზაციის ღია კრებაზე განეხილათ.

ინსტრუქტორმა რ. ეფრიკიანმა და პარტბიურომ მდივანმა ფ. ლევანიანმა პარტიული კრება ერთად მოამზადეს. კრების მოწვევამდე მათ გულდასმით შეისწავლეს მეცხოველეობის. ჩამორჩენის მიზეზები, იყვნენ ფერმებში, ესაუბრნენ მეცხოველეებს და ბევრ სადავო საკითხს შეეკი მოჰფინეს. მაგრამ ყველაფერი მაინც ნათელი როდი იყო.

კრებაზე საკითხის განხილვამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა გამოიწვია. გამოირკვა, რომ ზოგიერთი მეცხოველე პირუტყვის მოვლა-პატრონობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ფერმის მუშაობით სათანადოდ არ იყო დაინტერესებული აგრეთვე კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

კომუნისტებმა წამოაყენეს თავიანთი წინადადებები და ფერმაში სამუშაოდ წასვლის სურვილი გამოთქვეს.

კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება. აქვე შეარჩიეს ფერმაში პირუტყვის მომვლელებად გასაგზავნი მუშაკებიც.

არტელის გამგეობამ და პარტბიუროომ მალე სისრულეში მოიყვანეს კრების დადგენილება: კომუნისტებითა და კომკავშირელებით განამტკიცეს მეცხოველეთა რიგები.

ფერმაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა დეკემბრის კომუნისტ მ. თოფალიანს. აქ მოეწყო წითელი კუთხე, მოწინავეთა სალაპარაკო დაფა, დაიდგა რადიომიმღები, სისტემატურად იწყო გამოსვლა კედლის გაზეთმა, გამოცოცხლდა თვალსაჩინო აგიტაცია.

ფერმის მუშაკებს შორის გაჩაღდა შეჯიბრება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას. იმატა წველადობამ. მიმდინარე წლის ხუთ თვეში კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 856 კილოგრამი რძე, რაც 349 კილოგრამით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ინსტრუქტორი რ. ეფრიკიანი მეტ დროს ჩამორჩენილი კოლმეურნეობების პირველად სამეურნეო ორგანიზაციებთან მუშაობას ახმარს.

სოფელ კუმურდოს კოლმეურნეობა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელია, ეწევა ფარეზ. ინსტრუქტორ ზ. წინწყალაძეს, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენთან დაიწყო მუშაობა, ზონაში გაჰყვა რაიკომის გამოცდილი მუშაკი — ინსტრუქტორი ჰ. გრიგორიანი, რომელმაც დახმარებით, ანალიზი გაუკეთა არტელში შექმნილ მდგომარეობას, და საკითხი განსახილველად გატანილ იქნა რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

რაიკომის ბიუროზე მოვიწვიეთ კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრები, რიგითი კომუნისტები, რომლებმაც ობიექტურად ამხილეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ს. კუბანიანის თვითნებური მოქმედება და საკოლმეურნეო საქმისადმი მისი გულგრილი დამოკიდებულება. სხდომაზე ბევრ სხვა რამესაც ეახლა ფარდა. კოლმეურნეობაში მოეწესრიგებელი იყო შრომა, არ ხორციელდებოდა ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო საქმეთა აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად მოწყობისათვის. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. კუბანიანი, ნაცვლად იმისა, რომ დაეფარა სოფლის მშრომელები და მხარი დაეჭირა კომუნისტთა შემოქმედებითი ინიციატივისათვის, ანგარიშს არ უწევდა კოლმეურნეობის გამგეობის, პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებებს. სამაგალითოდ სამუშაოების დაწყების წინ მან თვითნებურად გაათავისუფლა სამუშაოდან მეძიდერეობის სამი ბრიგადირი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტფერშალი. თავმჯდომარე კეთილობით არ ცხადდებოდა კოლმეურნეობაში.

რაიკომის ბიუროს რჩევით კოლმეურნეობის საერთო კრებამ ს. კუბანიანი გათავისუფლა სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარეობიდან და მის ნაცვლად აირჩია ახალგაზრდა სპეციალისტი, კომუნისტი ვ. კურგინიანი.

საკოლმეურნეო საქმეს მალე გარდატეხა დაეტყო.

რაიკომი განსაკუთრებულ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მუშაკებს. ინსტრუქტორ ზ. წინწყალაძეს, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენთან დაიწყო მუშაობა, ზონაში გაჰყვა რაიკომის გამოცდილი მუშაკი — ინსტრუქტორი ჰ. გრიგორიანი, რომელმაც ბევრ პრაქტიკული საკითხი. ახალგაზრდა და ძველი ინსტრუქტორები რამდენიმე დღეს ერთად სწავლობდნენ სოფელ ღადოლარის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. მათ აქ გამოავლინეს ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსასწორებლად ადგილზევე დასახეს ღონისძიებანი. ასეთმა პრაქტიკამ კარგი შედეგი გამოიღო: ინსტრუქტორმა ზ. წინწყალაძემ სულ მალე ეფუო ალღო საქმეს.

ზ. წინწყალაძე პირველი დღეებიდანვე დაინტერესდა სოფელ ტურცის კოლმეურნეობაში შექმნილ არანორმალური მდგომარეობით. საქმეში ჩახედვამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს შემადგენლობის გადახალისება.

კომუნისტებმა მხარი დაუჭირეს მის წინადადებას. კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია თადარიგის ოფიცერი ქ. ასლანიანი, ხოლო კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად ს. ოგანესიანი ისურვეს.

ეს ყველაფერი მოხდა მაშინ, როცა კოლმეურნეობა პირუტყვისათვის საკვების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა.

ახლად არჩეული ხელმძღვანელობა სიძნელეებს არ შეუშინდა. კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის მხარდაჭერით მალე. გამოიახა საკვები და საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრების საკითხი ნორმალურ კალაპოტში ჩაადენეს. მტკიცე ხელი დაეტყო წარმოების ყველა უბანს.

რაიკომის მუშაობაში დიდი როლი ეკუთვნით შტატგარეშე ინსტრუქტორებსაც, რომლებიც რაიკომის დავალებით ხშირად ამოწმებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, აღლიერებენ ნაკლოვანებებს და სახავენ გზებს მათ გამოსასწორებლად.

გვყავს 8 შტატგარეშე ინსტრუქტორი. ვიდრე დავალების შესრულებას შეუდგებოდნენ, მათ თათბირებზე, სემინარებზე ან ინდივიდუალურად განვიხილავთ, თუ როგორ უნდა შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი, რაზე გაამახვილონ ყურადღება, შტატგარეშე ინსტრუქტორებს ვიწვევთ პიუროების სხდომებსა და პლენუმებზე.

რაიკომის დავალებებს გულმოდგინედ ასრულებენ და ადგილებზე პირველად პარტიულ ორგანიზაციებს საქმიან დახმარებას უწევენ. შტატგარეშე ინსტრუქტორები ა. ბაღდასარიანი და ვ. ბაგრამიანი. იშვიათი როდია, როცა მათ საფუძვლიანად შესწავლილი და კარგად მომზადებული საკითხები განსახილველად გამოაქვთ რაიკომის ბიუროზე.

პარტიის რაიკომის როგორც შტატის, ისე შტატგარეშე ინსტრუქტორთა მუშაობის შესახებ კიდევ ბევრი კარგი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ ამასთან ერთად ცოტა როდია ისეთი მაგალითებიც, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ჯერ კიდევ ყველა ინსტრუქტორს სწორად არა აქვს გაგებული თავისი ამოცანები. ზოგჯერ ისინი ნაკლოვანებათა უბრალო რეგისტრატორის როლში გამოდიან, არ ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას, უყურადღებოდ ეკიდებიან მშრომელთა საქმიან შენიშვნებს, საფუძვლიანად არ სწავლობენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას. ცხადია, ამ შემთხვევაში ისინი ვერც სათანადო ზომებს იღებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შტატგარეშე ინსტრუქტორების სწავლების ერთ-ერთი ფორმაა მათი შეკრებები, რომელზედაც ინსტრუქტორები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

პარტიის რაიკომს, ცხადია, შემოდგომაში უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებების გახორციელება დასჭირდება იმისათვის, რომ მისი როგორც შტატის მუშაკები, ისე შტატგარეშე ინსტრუქტორები შემოქმედებითად უდგებოდნენ ყველაზე მომწიფებული საკითხების გადაწყვეტას. ამაში ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, რომელმაც ღრმად ჩაგვაფიქრა.

კ. ვერიჟენკო,
საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი.

თბილისის საკონდიტრო კომბინატის კოლექტივმა უკვე მიაღწია შვიდწლედით დაგეგმილ საპროექტო სიმძლავრეს. მიმდინარე წელს იგი უკვე აძლევს ჭიათურას 1000 ტონით მეტ ტკბილეულს, ვიდრე სახელმწიფო დავალებით არის გათვალისწინებული. 1962 წლიდან კომბინატის კოლექტივი გაუწევს ინარჩუნებს საქართველოს პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. სურათზე: ახალი, პროგრესული კამფეტშესახვევი მანქანები თბილისის საკონდიტრო კომბინატში. წინა პლანზე — კომუნისტური შრომის დამკვრელი კამფეტშესახვევი მანქანის მემანქანე ნინა გუდაძე.

ფოტო ი. დვალისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

კომკავშირს — მეტი პარტიული ზრუნვა

ერთი საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. პატარიძე.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ბევრი ჭიათურელი კომკავშირელი შრომისა და სწავლის საუცხოო მაგალითებს იძლევა. საკმარისია ითქვას, რომ ჭიათურის საწარმოებსა და მშენებლობებზე მომუშავე 1580 ახალგაზრდა კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს ატარებს. პოლიტიკური განათლების ქსელში ჩამული იყო 4 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს და საშუალო განათლებას იღებს 1.600-ზე მეტი ახალგაზრდა.

პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს მზრუნველობით ხელმძღვანელობენ ლენინის, დიმიტროვის, კალინინის, ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროების, ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას ყველგან როდი მიიჩნევენ დვიძლ საქმედ. ჭიათურმშენის პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ სამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ — 1963 წლის 24 მაისს, და მაშინაც ზერელედ, ფორმალურად იმსჯელა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაზე.

სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით აიხსნება, რომ კომკავშირული მუშობა მეტად დაბალ დონეზეა რკინიგზის ჭიათურის სადგურში. სადაც უკანასკნელ წელს არცერთი კომკავშირული კრებაც კი არ გამართულა. ნიგოზეთის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობა თვალთმაქცობით შეცვალეს — მაისში ოქმი ისე გააფორმეს, რომ კომკავშირული კრება არ ჩაუტარებიათ. სოფელ ხვერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტბიუროს მდივანი წელს არცერთ კომკავშირულ კრებას არ დასწრებიან. ხოლო სოფელ ხვაშთის კოლმეურნეობაში წელს კომკავშირული კრება მხოლოდ ერთხელ გაიმართა.

ჭიათურმშენის სამმართველოს, № 1 და 3 ავტოსატრანსპორტო კანტორების, საავადმყოფოს კომკავშირულ ორგანიზაციებში არცერთი პოლიტწრე არ შეუქმნიათ, ხოლო სილიკატური აგურის ქარხანაში და მარგანეცის ტექნიკური მომარაგების განყოფილებაში პარტიული ორგანიზაციების უყურადღებობით და კომკავშირელთა გულგრილობით პოლიტწრეები დაიშალა. ამავე მიზეზით ძალიან დაბალ იდეურ დონეზე ჩატარდა შახტმშენის სამმართველოს კომკავშირულ ორგანიზაციაში პოლიტსკოლის შემაჯამებელი მეცადინეობა.

რაიონში კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებით აიხსნება, რომ ახალგაზრდობის ერთ ნაწილში ვხვდებით ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო გამოვლინებებს, რომელთა წინააღმდეგ შექმნილი არ არის საზოგადოებრივი გაკიცხვისა და შეურიგებლობის ატმოსფერო. ზოგჯერ ხულიგნობენ ხელმძღვანელე. ამხანაგების შვილები, რომლებსაც, სამწუხაროდ, მფარველობენ. მრავალთაგან ერთ მაგალითს დავასახელებთ. ხელოვნება მრავალჯზის ჩაიდინა მეთერთმეტეკლასელმა ა. ჩაჩანიძემ, რომლის მამა გ. ჩაჩანიძე დიმიტროვის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერია. ა. ჩაჩანიძემ კვლავ ატეხა დებოში ლენინის სახელობის მაღაროში. საათანადო აქტი შედგა და საქმე მილიციის საქალაქო განყოფილებას გადაეცა. მაგრამ მეორე დღესვე მაღაროდან კვლავ მოვიდა მილიციაში შუაღგომლობა, საქმე უკანვე დაგვიბრუნეთო. ამით „დათვურ სამსახურს“ უწევენ გზასაცდენილ ახალგაზრდას და მის მშობლებს.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებაზე ილაპარაკეს პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ა. მეცხოვრიშვილმა (დიმიტროვის სახელობის მაღარო), გ. სულთანბერიძემ (ჭიათურმშენი), ბ. ცუნიშვილმა (ლენინის სახელობის მაღარო), ა. გოგოლიძემ (მილიციის საქალაქო განყოფილება), გ. თაბაგარმა (ალენინის სახელობის მაღარო). მესამე საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. შუმლაძემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. გურულმა, ქალაქის პროკურორმა შ. მიროტაძემ და სხვებმა.

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ვნახოთ, როგორ განახორციელებენ მათ. კარგი გადაწყვეტილება საქმის მხოლოდ დასაწყისია.

ნანგრევი სიონის ტყეში...

ყაზბეგში ზღაპარი-ეთ ჰკვეთიან, მშენებლობა ამა და ამ წელს, ამა და ამ თვეს დაიწყო. უფრო ზუსტი (ნობები, შენობისათვის 1957 წლის ზაფხულში ჩაუყრიათ საძირკველი.

რომელ მშენებლობაზეა ლაპარაკი?

პიონერთა ბანაკზე. იგი უნდა აგებულიყო ტყეში, სოფელ სიონის ძალლობლად. ეფორო ლამაზ ადგილს მთელ ხევში ვერ ამოვნით. მთის გრეხილი პიერი, ფიჭვის სუნი, წყაროს ანკარა წყალი და ჩიტების ჭიკჭიკი ატყობს აქ ადამიანის გულს. ეს ადგილი ზეგადამწერილია ბავშვთა დასასვენებლად. ალბათ ამიტომ იყო, რომ დაიბადა მშვენიერი აზრი დიდებული ფაინერთა ბანაკის მშენებლობისა.

სიტყვას საქმეც მოჰყვა.

მალე აგუგონდა ავტომაჩქანები, მოიტანეს საშენი მასალა, ხე-ტყე, აგური, გაიკრა საძირკვალი, გაჩაღდა მშენებლობა. მალე ტყეში აღიმართა ექვსი კაპიტალური შენობა. სამი წლის შემდეგ გადაწყდა გაეხსნათ ბანაკი 80 ბავშვისათვის, ნაწილი შენობებისა კიდევაც მოამზადეს, მაგრამ... კაცი ბჭობდა, ემმაკი იცინოდა. რაღაც მიზეზით ბანაკი არ გახსნილა. პირიქით, რაც აშენდა, ისიც ინგრევა.

სიონის ტყეში რომ მიხვალ, გული დაგწყდება. შენობების ნაწილს სახურავი არა აქვს და ყველაფერი ლპება. დამოგრებულ ნაგებობებს, როგორიც არის სასადილო, ორსართულიანი საძინებელი კორპუსი და კანტორა, სახურავი დაზიანებული აქვს და თავისუფლად ჩადის წვიმა. ბანაკს ყარაული არა ჰყავს. იყარგება ხე-ტყე, საშენი მასალა.

შარშან შემოდგომაზე ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომმა თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს—გაგნობებთ,—წერია მიმართვაში, — რომ მშენებლობა ორი წელიწადია არ ფინანსდება და რაც აშენდა, ისიც ფუჭდება. გთხოვთ 1965 წელს გამოჰყოთ 85 ათასი მანეთი.

მალე პასუხიც მოვიდა: „ლიმიტების სიმცირის გამო სამინისტროს საშუალება არა აქვს დაკმაყოფილოს თქვენი თხოვნა 1965 წელს სიონის პიონერთა ბანაკის მშენებლობისათვის დაფინანსების გამოყოფის შესახებ“.

გაუგონარი ამბავია — ადამიანთა თვალწინ ძეირფასი ქონება ლპება და ნიავდება, სამინისტროს და რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს კი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ეესაუბრით ყაზბეგის კომუნალური მეურნეობის დირექტორს გ. სამბაურს, რომელიც ხალვლიანად გადმომცემდა ამ უბედურნო მშენებლობის სამწუხარო ამბავს:

— ბანაკს ჩვენ ვაშენებდით, მაგრამ უფულობის გამო შეგწყვიტეთ. რაც აშენდა, არავისთვის არ ჩაგვიბარებია და იძულებული ვარ ისევ მე ვუპატრონო...

საინტერესოა, როდემდის გაგრძელდება ასე?

ა. თომაშვილი.

რაში იღებენ ხელფასს?!

სად არის აგროქიმიური ლაბორატორიის ლაბორატორიის გამგე? — ვეკითხე, როცა კარგამოკეტილი ლაბორატორია ვნახე.

— კომბინიერებთან წავიდა, ანრობაციაზე, — თქვა ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. ბაგაევმა.

— ლაბორატორიის გამგე თამარაშენში ვენახის წამლობაზეა წასული, — თქვა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა გ. აბელეფიანმა.

ალბათ თავისი საქმე კარგად აქვს აწყობილი და ახლა მეურნეობას სხვა საქმეშია ეხმარება-მეთქი, გავიფიქრე.

კანტორაში ლაბორანტი გ. ქაქელიშვილი გაგვაცანეს.

— ერთი კვირაა დროებით ლაბორანტად დამნიშნეს, ყოველდღე მოვდივარ, მაგრამ ჩემს გამგეს ელენე გლუშოს ვერ შევხვდი, ლაბორატორია მუდამ დაკეტილია, — თქვა მორცხვად ახალგაზრდა სპეციალისტმა.

...და აჰა, ლაბორატორია გაიღო, ეეცნობით მის საქმიანობას. გამგე ელენე გლუშოო გვიხსნის, რომ მინერალური სასუქების ეფექტურად გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგროქიმიური ლაბორატორიების ნაყოფიერ მუშაობას, რომ მათი ამოცანაა ნიადაგების ქიმიური შემადგენლობისა და თვისებიერების შესწავლა, აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა...

— პრაქტიკულად რა გაკეთდა თქვენთან? — შევეკითხეთ.

— ჯერჯერობით არაფერი. ქვეყანა უცბად არ აშენებულა. ჩვენც ეს-ეს არის კალაპოტში ვდგებით, წელში ვსწორდებით, მერე ვნახოთ.

თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის აგროქიმიური ლაბორატორია „წელში სწორდება“ თითქმის წელიწადნახევარია. ამ ხნის მანძილზე აქ ძნელოდ ეა მოახერხეს, რომ სხვადასხვა დროს აიღეს მხოლოდ 33 შერეული ნიადაგის ნიმუში, მაგრამ დღემდე არ უწარმოებიათ ანალიზი. ამიტომ არც დაუდგიათო, თუ რომელი ნიადაგი რა შემადგენლობისაა და რა სახის სასუქებს მოითხოვს. მეურნეობის კარტოგრამების შედგენაზე ფიქრიც კი შორეული მომავლის საქმეა.

იქნებ პირობები არ არის მუშაობისათვის, იქნებ ცოდნა არ ჰყოფნით ლაბორატორიის მუშაკებს? გამგე ოცი წელია სოფლის მეურნეობის საქმეს ემსახურება. ლაბორანტმა ლუიზა ბაქელიშვილმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. ლაბორატორიაში მუშაობის დაწყებისთანავე მეურნეობის დირექციამ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიავლინა ერთთვიან კურსებზე. ლაბორატორიის მეურნეობის დირექციამ გამოუყო სამი ოთახი თავისი მოწყობილობით, შეძენილია 69 დასახელების ხელსაწყო-იარაღები.

მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, არაკეთილი მუშაობა აქ არ წარმოებს. გასულ წელს აგვისტოში შეძენილ იქნა სპეციალური ხელსაწყო — ნიადაგის საბრობი, რომელიც დღემდე არ გამოუყენებიათ. ასევეე უსარგებლოდ უწევიათ ანალიზური და ტექნიკური სასწორები და მთელი რიგი სხვა ხელსაწყო-იარაღები. ზუსტად არ არის შედგენილი „საველე დღიური“, სადაც უნდა იყოს მოცემული მეურნეობის ისტორია, ნაკვეთებისა და ნიადაგების დახასიათება, ფართობების ათვისების წელი, ოდენობა, ნიადაგის ტიპი და სხვ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემული დროებითი ინსტრუქცია „კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში აგროქიმიური კარტოგრამების შესადგენად. ამ ინსტრუქციის თანახმად აგროქიმიურ ლაბორატორიას შედგენილი უნდა ჰქონდეს ცნობები მეურნეობაში სასუქების გამოყენებაზე ნინა წლებში, აგრეთვე საწყისო გეგმა და სხვ., მაგრამ მსგავსი რამ აქ არ გაუკეთებიათ. მეურნეობამ სპეციალური აქტით ლაბორატორიას დაკვირვებისათვის გამოუყო ბაღის გარკვეული ფართობი, იქ კი არავითარი დაკვირვება არ წარმოებს.

ლაბორატორიის მუშაკები სხვადასხვა მიზეზებით ხშირად არ არიან სამუშაოზე, მეურნეობის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები კი ლაბორატორიის ასეთი უმოქმედობისათვის წარმსაც ან ინრიან.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რაში იღებენ ხელფასს ლაბორატორის მუშაკები?

ვ. საბანაძე.
სოფლკორი.

სასკოლო მშენებლობა
— ფიზიკოსებისა
ბიბლიოთეკა

სექტემბერს კარს გვიკაკუნებს

სად, როგორ შენობაში დაირეკება ეს ზარი? — ეი კითხავ, რომელიც ახლა აწუხებს დიდსა და პატარას. სურვილი და მისწრაფება კი ერთია — ახალი სასწავლო წელი ყოველმხრივ კეთილმოწყობილ სასკოლო შენობებისა და სასკოლო ოთახებში, კაბინეტ-ლაბორატორიებში დაიწყოს.

რედაქციას დიდძალი ფოსტა მოსდის ამ თემაზე. გვწერენ როგორც მტკივნეულ, ასევე დადებთ მხარეებზე. ამიტომაც მკითხველს ვთავაზობთ ამ ფოსტის მოკლე მიმოხილვას.

„სკოლა ავარიულ შენობაშია, — გვწერს მუშკორი **ა. კაპანაძე ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევიდან,** — ახალი სკოლის ამენებისათვის კი არავინ ზრუნავს. მართალია, რაიონის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე განიზრახა სკოლის ახალი შენობის აგება, მაგრამ რატომღაც ყოველთვის მიმდინარე რემონტით დაკმაყოფილდნენ“.

ოცდარვა კაცი აწერს ხელს რედაქციაში გამოგზავნილ სიგნალს იმის შესახებ, რომ ასევე ავარიულ მდგომარეობაშია **ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის** საშუალო სკოლის შენობა. აქ შარშან სამ ცალად ყოფილა მაცადინეობა. ახლა შენობას რემონტიც ვერ უყეთდება, და როგორც მშობლები წერენ, ბავშვები საფრთხეში იქნებიან წელსაც, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა.

აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობის რემონტის ნელი ტემპით მიმდინარეობაზე სწერენ რედაქციას სოფლკორები **ი. თოფურია და გ. გვაზავა.** ისინი უსაყვედურებენ „საკოლოდ“-შენის“ სამტრედიის № 4 მექანიზებულ კოლონას, რომელიც რემონტს აწარმოებს.

სოფლკორი **დ. ჩუბინიძე** იტყობინება, რომ **დაბა მაიაკოვსკის ვლ. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლა** ახალ, ნათელ საკლასო ოთახებში შეიდგება ახალ სასწავლო წელს. საერთოდ, რაიონში სკოლების რემონტსა და კეთილმოწყობაზე წელს იხარჯება 60 ათას მანეთზე მეტი. დამთავრების პროცესშია წყალთაშუას დაწყებითი სკოლისათვის ოთახების მიშენების სამშაოები. უკვე დაუმთავრებიათ შენობების რემონტი **ობჩის** რვაწლიან, **დიმის** საშუალო, **წითელხევის** საშუალო, დაწყებით და სხვა სკოლებში.

მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე **ხ. ხავთასი** გვატყობინებს, რომ წელს რაიონში მიმდინარეობს **ლიხაურის** საშუალო, **სილაურის** რვაწლიანი და **ნაღომალევის** დაწყებითი სკოლების ნაგებობათა მშენებლობა. გარდა სილაურის სკოლისა, როგორც ამბობ. ხავთასი გვწერს, სხვაგან მშენებლობა დადებითად მიმდინარეობს, და იმედოვნებს, რომ შენობები დროზე გადაეცემა საგაკვლოლოტაციოდ.

— სკოლის რემონტს აჭიანურებენ, — სწერენ რედაქციას სოფლკორები **ე. მარიამიძე** და **მ. ბაკრატიონი** და აღწერენ ამ მხრივ **ცხინვალის** მე-3 საშუალო სკოლის ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობას. სკოლას რემონტისათვის 2.500 მანეთი ჰქონია ანგარიშზე, მაგრამ აქედან ჯერ კაპიკიც არ ყოფილა ათვისებული. ამასთან სკოლა მოითხოვს შეთეთრებას, სახურავის შეკეთებას და სხვა ხასიათის რემონტს.

სოფლკორი **ვ. კუტალაძე** გვატყობინებს შედარებით უკეთესი მდგომარეობის შესახებ, რაც **თერჯოლის რაიონშია** ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. იგი წერს, რომ სკოლების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილია 42.000 მანეთი. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თერჯოლის საშუალო სკოლის რემონტი; მალე დაიწყებ. **ახალთერჯოლის** 8-წლიანი სკოლის შენობაზე მიმენების სამშაოები, რითაც სკოლას შესაძლებლობა ექნება გადავიდეს ერთ ცვლად მეცადინეობაზე. ოთახებს მიუშენებენ აგრეთვე **სიკთაოვისა** და **გოგნის** 8-წლიანი სკოლების შენობებს, როგორც გვატყობინებენ, ჩქარი ტემპით შენდება საშუალო სკოლის შენობა **ალისუბანში** 340 მოსწავლისათვის.

არა მარტო სასკოლო მშენებლობა და რემონტზე გვწერენ მკითხველები — მოდის ფოსტა სასკოლო სახელმძღვანელოების უკონლობის შესახებ. უკვე დროა სკოლებმა მიიღონ საჭირო სახელმძღვანელოები.

— ჩემი შვილი მე-8 კლასში გადავედა, — გვწერს მკითხველი **ს. კალანდარიშვილი,** — მთელი ამ არდადეგების დღეებში დავდივართ წიგნის მაღაზიებში, მაგრამ პროგრამით გათვალისწინებული წიგნები ვერ მიყიდია, არ არის, სკოლა კი ამბობს, ჯერ არ მოგვიიანო.

— მაღაზიებში ვხვდებით ასეთ განცხადებებს: „მიიკითხეთ სკოლებს, სახელმძღვანელოები ჩვენთან არ იქნება“. ღვდაქალაქის უმრავლეს სკოლაში (ოდენ ლეთად 51-ე, 55-ე და 58-ე ხელოვნებ.) კაპიტალური რემონტია. მაშ სად ეიღოთ წიგნები? — ყოენს საკითხს ეკითხეული **თ. სალხინაშვილი.**

შესაძლოა, მდგომარეობა არც ასეთი საგანგაშოა, მაგრამ ის კი მტკიცედ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმძღვანელოების გამოცემა უნდა დაჩქარდეს, ხოლო გაყიდვის საქმეში წესრიგ. დამყარდეს.

სექტემბერი კარს გვიკაკუნებს. ახლა ყოველი დღე და საათიც კი საშური, ყოველი „წვრილმანიც“ გასათვალისწინებელი და მოსაგვარებელია. მთელი მონდომებითა და სიყვარულით გემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის! ეს არის ახლა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე.

ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ

დ. გოგოხია.

„ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში“. [illegible] გამომცემლობა „საბჭოთა [illegible] ქართველო“. 1965 წ.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის დ. გოგოხიას მონოგრაფია „ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ“.

მონოგრაფიაში გაშუქებულია ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲝᲤᲘᲐ. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲔᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ 4,1 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘᲐ 140 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲘᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲜ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲖᲠᲓᲐᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡ, ᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲗᲘᲜᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲒᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡᲐᲨᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲚᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ IV ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲝᲡᲣᲡᲜᲔᲑᲘᲗ „ᲓᲐᲒᲒᲘᲛᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 1966-1970 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲩᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲗᲐᲠᲗᲐ „ᲥᲛᲗᲘᲡ, ᲥᲛᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲐᲦᲜᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲩᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲓᲜᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲒᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲣᲨᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲞᲠᲐᲓᲐ. ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘ

ვაქას ხსოვნისათვის

ცხრა აგვისტოს სრულდება 50 წელი დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან. ამ თარიღის ფართოდ აღნიშნულისათვის საქართველოს მწერალთა კავშირმა შექმნა კომისია საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გიორგი ლეონიძის თავმჯდომარეობით. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს უთხრა:

— ვაჟა-ფშაველა ქართული მწერლობის სიამაყეა და მის უკვდავ სახელთან დაკავშირებულ თარიღებს ხალხი ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს.

დიდი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავის აღნიშვნის მოწყობის კომისიაში გაერთიანებული არიან ჩვენი პროზაიკოსები, პოეტები, კრიტიკოსები — ალ. გომიაშვილი, ნ. გურგენიძე (კომისიის მდივანი), კ. კალაძე, ლ. კალანდადე, ე. მაღრაძე, ა. შადური (პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი), დ. შენგელაია, თ. ჭილაძე, შ. რადიანი, გ. ჯიბლაძე, ს. ჩიქოვანი.

ამ დღეებში პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის თავმჯდომარეობით გაიმართა კომისიის სხდომა, რომელმაც ვაჟა-ფშაველას ხსოვნის დღეების ჩასატარებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

8 აგვისტოს ქართველი მწერლები ეწვევიან პოეტის მშობლიურ სოფელს ჩარგალს. აქ გაიმართება მიტინგი.

მეორე დღეს, 9 აგვისტოს მწერლები და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მთაწმინდის პანთეონში გვირგვინებით შეამკობენ ვაჟა-ფშაველას საფლავს.

აღვე დღეს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართება ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამო, რომელსაც შეესწრება სიტყვით გახსნის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეონიძე. პოეტი ალ. გომიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. პოეტები წაიკითხავენ ვაჟა-ფშაველასა და ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსებს. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ მწერლები, კრიტიკოსები, ხელოვნების მუშაკები. ვაჟას ხსოვნის სალამოები გაიმართება აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, დუშეთში, თიანეთში, ახმეტაში,

მოკლედ

□ ამ დღეებში კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და ჭაბატაკილების მუშაკთა პროფკავშირების თეატრალური აგიტმხატვრული კოლექტივი ეწვია საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონებს. აკურამა მშრომელებმა მოიხმინეს ლექცია-საუბარი ათეისტურ თემაზე და ნახეს გ. სტეფანსკის ანტირელიგიური პიესა „ჯადო“. პიესის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი დ. ხუციშვილი.

Ც. ცარდიაუელი.

□ **საჩხერე.** (ხაკ. კორ.). თითქმის ხუთი წელია, რაც საჩხერის პირველ საბავშვო ბაღს შეფობას უწევს სამტრესტის საჩხერის ღვინის ქარხნის კოლექტივი.

საბავშვო ბაღის ეზოს დასამშვენებლად ქარხნის კოლექტივმა დარგო მარადმწვანე მცენარეები, გააშენა და შემოღობა ყვავილნარი.

დიდი ინტერესი, გულთბილი მიღება

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ლენინგრადში

ლენინგრადი, 29 ივლისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აქ ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელგანთქმული თეატრის სცენაზე წარმატებით გრძელდება თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლები. ლენინგრადელები. დიდ ინტერესს იჩენენ ,ქართული საოპერო და ქორეოგრაფიული ხელოვნებისადმი, რასაც მოწმობს მაყურებელთა სავსე დარბაზი ყოველ სპექტაკლზე.

საოპერო დასმა თავის მეორე სპექტაკლად წარმოადგინა **მოცარტის „დონ-ჟუანი“.** თუ გავიხსენებთ, რომ ეს ოპერა თითქმის უკვე ათი წელია ლენინგრადში არ დადგმული, გასაგები ხდება ის დიდი ინტერესი, რითაც მას აჭაური მაყურებლები და თეატრალურ-მუსიკალური საზოგადოებრობა შეხვდა.

სპექტაკლში, რომელსაც დირიჟორობდა ჯანსუღ კახიძე, მთავარი პარტიები შეასრულეს თ. მუშკუდიანმა (დონ-ჟუანი), ი. შუშანიამ (ლეპორელო), ნ. ტუღუშმა (ცერლინა), თ. ლაფერაშვილმა (მაზეტო), ო. კუზნეცოვამ (ელვირა) და ც. ტატიშვილმა (დონა ანა).

ხელოვნებათმცოდნენ, პროფესორმა ი. გლეკმანმა სპექტაკლის ბოლოს თქვა:

— მადლობის მეტი რა მეთქმის იმ ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რომელიც სპექტაკლმა მომანიჭა. ძალიან მახარებს, რომ მსოფლიო საოპერო კლასიკის ამ მარგალიტისათვის ასე მშვენივრად შეუსახამთ ხორცი ჩვენს თბილისელ მეგობრებს.

ლენინგრადელებმა გულთბილად მიიღეს გრ. კილაძის ბალეტი „სანათლე“ (დამდგმელი ვახტანგ ჯაბუკიანი). მთავარი როლები შეასრულეს ბ. მოხთავრდისაშვილმა (ავთანდილი), ე. გუნაშვილმა (დავრიშე), ლ. მითაიშვილმა (მზეთუნახავი), ი. ჯანდიერამ (ყეთილი ფერია). სპექტაკლი მიჰყავდა დირიჟორ დიდმ მირცხულავას.

— **გასტროლებით დიდად სახიამოვნები ვარ,** — თქვა რუსეთ სახალხო არტისტმა ნ. კრიკულიამ, — **მე დავესწარი „ოტელოს“, „დონ-ჟუანს“ და „სინათლეს“. ქართული საბალეტო დასი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში.**

დღეს წარმოდგენილ იქნა ვერდის ოპერა „ტრუბადური“. ხვალ ლენინგრადელები ნახავენ ა. ცაგერის „ლაურენსიას“.

ზ. რცხილაძე.

თბილისის ვაგზლის მოედნის კეთილმოწყობისა და თანამედროვე დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი სარკინიგზო კარიბჭის შენების ამოცანა დიდი ხანია დგას ჩვენი არქიტექტორებისა და მშენებლების დღის წესრიგში.

ამ ცოტა ხნის წინათ საქსახმშენმა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა გამოაცხადეს კონკურსი თბილისის ვაგზლის მოედნის დაგეგმარებასა და რეკონსტრუქციის საუკეთესო პროექტზე.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამმა საპროექტო ინსტიტუტმა—თბილ-ქალაქპროექტმა, საქსახმშენპროექტმა და თბილისის ზონალური ექსპერიმენტალური პროექტირების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ამ დაწესებულებათა არქიტექტორებმა და კონსტრუქტორებმა რამდენიმე პროექტი წარადგინეს. ნათ შორის თბილქალაქპროექტმა — ორი ნამუშევარი.

კონკურსის ეჟურიმ ამ დღეებში განიხილა საკონკურსო ნამუშევრები. შეჯამამ შედეგები და პრემია — 1.500 მანეთი მიანიჭა თბილქალაქპროექტის დაგეგმარების სახელოსნოში დამუშავებულ პროექტს. მისი ავტორები არიან ა. ჯიბლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შავდია, გ. ბათიაშვილი.

წამახალისებელი პრემია მიენიჭა იმავე ინსტიტუტის მეორე ნამუშევარს (ავტორები **გ. მელქაძე** და **გ. კვერნაძე**).

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პასუხისმგებელ მდივანს **თ. კვირკელიას** და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეცნო, თუ რას გულისხმობს ვაგზლის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი და რა წინადადებანი მიეცათ ვაგზლის მომავალი პროექტის ავტორებს.

ეს ხდის ადამიანის ორგანიზმს. ეს შეიძლება საშიში იყოს სხვადასხვაგვარ დაავადებათა დროს.

საბჭოთა ქიმატოლოგებმა ხსნარს დაუმატეს ლევომიცეტინი იმ მოსაზრებით, რომ მიკრობების წინააღმდეგ, რომლებსაც ზოგჯერ უამისოდაც ახასიათებს მედეგობა ამა თუ იმ პრეპარატისადმი, შეიძლება გამოვიყენოთ ყოველი სხვა ანტიბიოტიკი. სამაგიეროდ მტკიცედ ვიცით: მიკრობები კიდევაც რომ მოხდენენ სტერილურ შუშაში, ისინი აუცილებლად დაიღუპებიან. ხომ ყოფილა შემთხვევები, რომ ბაქტერიალურად გაჭუჭყიანებული სისხლის გადასხმის შედეგად ავადმყოფები მოკვდარან.

დამაკონსერვებელი ხსნარის მომზადების საჭირხნო წესი გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას: ქიმიკოსები განუწყვეტლივ უწევენ კონტროლს შემადგენლობას.

დამაკონსერვებელი ხსნარი არ ფუჭდება სიცივის მოქმედებით. 1958 წელს ვიტებსკში სისხლის გადასხმის სადგურში მიიტანეს დამაკონსერვებელ ხსნარიანი შუშების ერთ-ერთი პირველი პარტია. იგი საწყობში ერთ წელიწადს ინახებოდა და ყინვებიანმა ზამთარმა მაინც ვერ შეუცვალა თვისებები კონსერვანტს — ერთ წლის შემდეგ შემადგენლობა კვლავ ვარგისი იყო სახმარად.

მოსკოვის სემაშკოს სახელობის ქიმია-ფარმაცევტული ქარხნის საცდელმა საამქრომ მოაწყო განსაზღვრა დამაკონსერვებელი ხსნარისა, რომელიც ჩასხმულია პლასტმასის ტარაში.

იმავამად დონორთა მთელი სისხლის ნახევრის დაკონსერვება საბჭოთა კავშირში საკრნსო მეთოდით წარმოებს. ავტომატიზაცია და კონსერვანტიანი შუშების ცენტრალიზებული დამზადება უზრუნველყოფს მილიონ მანეთამდე წლიურ ეკონომიას. სსრ კავშირში სისხლის სამსახურს ინდუსტრია მნიშვნელოვნად გაფართოვდება უახლოეს წლებში, როცა მწყობრში ჩადგება ახალი ქარხნები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ·ᲡᲢᲠᲝᲤᲔᲑᲘ

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲒᲖᲐᲚᲘ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ᲓᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲙᲠᲘᲐᲚᲐ ᲢᲒᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲖᲔ



ᲢᲘᲐᲜᲨᲐᲜᲘᲡ მთიანეთის მყინვარების ძირას ფირუზისფერად კრიალებს ტბა ისიკ-ყული. საღი ჰავა, მაღალი მთის სუფთა ჰაერი და ულამაზესი ბუნება საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან იზიდავს ტურისტებს. დ. განა მარტო ამით არის ცნობილი ეს თვალწარმტაცი ადგილი. ისიკ-ყულის მიდამოების კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ტერის ალა ტოოს მთების ალპურ საძოვრებზე ბალახობს ყირგიზული ნაზმატყლიანი ჯიშის 35 ათასი ცხვარი, 800 ცხენი და 1.300 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი. მთელი ეს პირუტყვი ისიკ-ყულის ერთ-ერთ კოლმეურნეობა „ულგულუ-ჯაშს“ ეკუთვნის. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ამ კოლმეურნეობის მაღალმთიან საძოვრებს.

კოლმეურნეობა სახელმწიფოს ყოველდღიურად აბარებს 300 ლიტრ კუმისს

— ძვირფას დიდი სამკურნალო თვისებების მქონე სასმელს.

სწორედ ამ სასმელით უმასპინძლდება კოლმეურნეობის ძველი მეჯოგე ასანალი ტოგუზბაევი შორი მხრიდან მოსულ ტურისტ ქალს (მარჯვენა სურათი).

— დალიე, დალიე, შვილო. კუმისი სასარგებლოა. ტყუილად როდი ეძახიან მას ყირგიზები „დეკგმირთა სასმელს“.

ფოტო ა. პოლიაკოვისა. (საკდესის ფოტოკორონეა).

ᲛᲝᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲚᲝᲐ

1938 წელს რომში სისხლის გადასხმის საერთაშორისო კონგრესზე საბჭოთა მეცნიერებმა ალექსანდრე ბოგომოლეცმა და ანდრია ბაღდასაროვმა გააკეთეს ინფორმაცია, რომლის შემდეგაც დონორთა სისხლის კონსერვაციას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში „რუსული მეთოდი“ ეწოდა.

ორგანიზაციები, რომლებიც დონორთა დაკონსერვებულ სისხლს ამზადებენ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს. ამერიკაში მათ ეწოდებათ სისხლის „ბანკები“, საბჭოთა კავშირში — სისხლის დაშზადებისა და დაკონსერვების სადგურები.

სისხლის დაკონსერვების რთული და შრომატევადი პროცესი ხელმისაწვდომი იყო სისხლის გადასხმის მხოლოდ ინსტიტუტებისა და ლ. დიდი — რესპუბლიკური და საოლქო სადგურებისათვის.

პატარა შუშას თავი მჭიდროდ აქვს დაცობილი ლითონის სალტიანი რეზინის საცობით. მისი მოცულობაა მეოთხედ ლიტრამდე. მიხუთედი ნაწილი უჭირავს გამჭვირვალე უფერულ სითხეს — დამაკონსერვებელ ხსნარს. მასშია გლუკოზა, ნატრიუმის მეავე ციტრატი (ლიმონის მეავას მარილი) და ანტიბიოტიკი — ლევომიცეტინი. ასეთი სახით შუშები იგზავნება სისხლის გადასხმის სადგურებში. სისხლის კონსერვაცია უკიდურესობამდე მარტივდება: ისღა რჩება, რომ სისხლით შევასხა გამოგზავნილი შუშები. დამაკონსერვებელი ხსნარის შემადგენლობა უზრუნველყოფს სიხლის ხანგრძლივად შენახვას.

ეს ხსნარი შექმნა ცნობილმა ქირურგმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პეტრე პოკროვსკიმ — სისხლის სამსახურის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა საბჭოთა კავშირში. იგი ხელმძღვანელობდა ასეთ სამსახურთა შექმნას რუმინეთსა და უნგრეთში.

პეტრე პოკროვსკის ხსნარის განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ მასშია ანტიბიოტიკი ლევომიცეტინი. სისხლის გადასხმის ზოგიერთ საზღვარგარეთელ სპეციალისტს ზედმეტად მიაჩნია ანტიბაქტერიალური პრეპარატების შეყვანა კონსერვანტის შემადგენლობაში. თავიანთ თვალსაზრისს ისინი იმით ამართლებენ, რომ გადასხმა სისხლისა, რომელშიც ანტიბაქტერიალური პრეპარატის მცირე დოზაა, ანტიბიოტიკებისადმი უგრძნობელს ხდის ადამიანის ორგანიზმს. ეს შეიძლება საშიში იყოს სხვადასხვაგვარ დაავადებათა დროს.

საბჭოთა ქემატოლოგებმა ხსნარს დაუმატეს ლევომიცეტინი იმ მოსაზრებით, რომ მიკრობების წინააღმდეგ, რომლებსაც ზოგჯერ უამისოდაც ახასიათებს მედეგობა ამა თუ იმ პრეპარატისადმი, შეიძლება გამოვიყენოთ ყოველი სხვა ანტიბიოტიკი. სამაგიეროდ მტკიცედ ვიცით: მიკრობები კიდევაც რომ მოხდენენ სტერილურ შუშაში, ისინი აუცილებლად დაიღუპებიან. ხომ ყოფილა შემთხვევები, რომ ბაქტერიალურად გაჭუჭყიანებული სისხლის გადასხმის შედეგად ავადმყოფები მოკვდარან.

დამაკონსერვებელი ხსნარის მომზადების საჭირხნო წესი გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას: ქიმიკოსები განუწყვეტლივ უწევენ კონტროლს შემადგენლობას.

დამაკონსერვებელი ხსნარი არ ფუჭდება სიცივის მოქმედებით. 1958 წელს ვიტებსკში სისხლის გადასხმის სადგურში მიიტანეს დამაკონსერვებელ ხსნარიანი შუშების ერთ-ერთი პირველი პარტია. იგი საწყობში ერთ წელიწადს ინახებოდა და ყინვებიანმა ზამთარმა მაინც ვერ შეუცვალა თვისებები კონსერვანტს — ერთ წლის შემდეგ შემადგენლობა კვლავ ვარგისი იყო სახმარად.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

◆

მოსკოვი. 29 ივლისი (ტელეფონით. სპეც. კორ.). პროფკავშირული მერვე სპარტაკიადის ყოველი დღე ხასიათდება მძაფრი სპორტული პაექრობით.

მას შემდეგ, რაც გამოვლინდნენ ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში, ბრძოლაში ჩაებნენ კლასიკური ჭიდაობის ოსტატები. საქართველოს წარმომადგენლებმა ჩინებული სტარტი აიღეს. გუნდში შემავალ არც ერთ სპორტსმენს შეხვედრა არ წაუგია. პირველ ნრეში ქულებით მოიგეს — **დავითაიამ, მელაშვილმა, გვანცელაძემ, ბლიაძემ.** შეხვედრები ფრედ დამთავრეს **რუშაძე, ნოზაძემ, ხაბეიშვილმა, მაკაბარიანმა.**

მეორე ნრეში, რომელიც დღეს გაიმართა, **დავითაიამ** 8 წუთსა და 45 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა თურქულებით წაგო **სახაბაზანოვთან** ორთაბრძოლაში. **მელაშვილმა** ქულებით წაგო **ალიევს** (აზერბაიჯანი), **გვანცელაძემ** ქულებით გაიმარჯვა **მაზინთან** (ბელორუსია) ორთაბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელმა ქალებმა დაამარცხეს უზბეკეთის გუნდი ანგარიშით 63:87 და ოქროს ორი ქულით შევიდნენ ფინალში. საქართველოს ვაჟთა გუნდმა მოუგო უზბეკეთის კალათბურთელებს 66:61.

დღეს ბრძოლაში ჩაებნენ მხატვრული ტანმოვარჯიშეები, ფრენბურთელები. საქართველოს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა ლიტვის ნაკრები 3:1. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შორის საქართველოდან წარმატებით გამოვიდა **მაპაპავარიანი,** რომელმაც 34,4 ქულა შეაგროვა. ნებისმიერ ვარჯიშში საკნით ჩვენი გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა.

გუშინ დამთავრდა ჩოგბურთელთა გუნდური ასპარეზობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და მოსკოვის ნაკრები კოლექტივები. ნვიმის გამო შეხვედრები რამდენჯერმე გადაიდო. შეჯიბრება მოიგეს მოსკოველებმა და სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ — **ერმოლოვა, ივანოვა, კაკულია, პერიბაუდოვი, ვერულავა** და **რუხაძე** მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მესამე ადგილზე გამოვიდა რსფსრ გუნდი.

დღეისათვის საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივს სპარტაკიადაზე 24 ქულით მეხუთე ადგილი უკავია.



„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ — „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲩᲘ“

ᲑᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 1:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ. ბურთი გაიტანა კუსაინოვმა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	16	11	4	1	28- 8	26
„დინამო“ (კ.)	16	10	4	2	28-11	24
ცსკა	16	7	7	2	18- 6	21
„დინამო“ (მნ.)	16	7	6	3	15- 6	20
„სპარტაკი“ (მ.)	16	6	6	4	15-10	18
„ზენიტი“ (ლ.)	16	5	7	4	20-14	17
„დინამო“ (თბ.)	16	6	5	5	19-15	17
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	16	6	5	5	20-18	17
სკა (როსტ.)	16	4	8	4	16-17	16
„შახტიორი“ (დ.)	16	5	6	5	19-20	16
„დინამო“ (მ.)	16	3	8	5	14-15	14
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	16	6	2	8	16-19	14
„ლოკომოტ.“ (მ.)	16	4	6	6	22-26	14
„პახტაკორი“ (ტ.)	16	4	6	6	16-24	14
„ჩერნომორ.“ (ო.)	16	3	4	9	16-27	10
„ტორპედო“ (ქ.)	16	4	1	11	12-33	9
სკა (ო.)	16	1	3	12	7-32	5

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲤᲝᲢᲝᲐᲠᲐᲢᲘᲗ

ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲩᲐᲛᲭᲠᲐᲚᲘ ᲘᲛᲔᲯᲔᲑᲘ

ᲧᲣᲚᲘᲢᲐ იმ საღამოს შინ ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა. კიბე სწრაფად აირბინა და ზარის ღილაკს ფრთხილად შეეხო. შვილის შეფერეგნებული სმენ დედის ფეხზელ თვალს შეუშინებელი არ დარჩენია. მაგრამ მიზეზს ვერ მიუხვდა. დაღლილიაო, გაიფიქრა, და მასთან საუბარს გაერდა.

ქალიშვილი თავის ფიქრებთან დამარტოხელდა. მშობლების რიდი ,ქრდა, და გულითქმას მათ ვერ უმხელდა, ვერ უმეღვნებდა.

ერთი თვის წინათ მურად ღონღაძე გაიცნეს. მურადს მოეწონა ჯულიეტა და შეეცადა გულისგანდგომა მისთვის.

ბადრებს ხვიეთს ნელი ნაბიჯით მიპყვებოდნენ.

— ერთადერთი ხართ, ვისზეც ვაპირებ დაქორწინებას, რად სდუმხართ, ხუთუ მაცდური ვარ თქვენს თვალში, გამეცით პასუხი.

ჯულიეტა მოულოდნელობისაგან შეკრთა.

— შენს ბედნიერებას შევწირავ ჩემს სიცოცხლეს. ოღონდ დასტური მომე, — ვეცდებოდა ქალიშვილს, და ასე დაუსრულებლად...

იგი მდუმარედ უსმენდა მურადის ფიცს და მის თვალებში ერთგულებისა და სულგრძელობის გამომხატველი შუქი კიაფობდა.

...ადღეგრძელონები გვიან ღამემდე გაგრძელდა. რევაზ იმედაშვილის ოჯახში დიდი სახარული იყო...

ჯულიეტა და მურადი დაქორწინდნენ. ეს იყო შარშან აგვისტოში. გაჩნდა ახალი კერა. ახლად შეუღლებულებს ერთი პატარა ოთახი ეჭირათ. მაგრამ ამას არაფრად თვლიდნენ, ხარობდა ფუფუჩაკრილი — ახალგაზრდების ოჯახი. ჯულიეტა ოავს ბედნიერად გრძნობდა. მეუღლე მას ყურადღებით ეექცეოდა, მზრუნველობდა. ასე მიდიოდა ღლეები. თვეს თვე მისდევდა.

— ჯული! სამსახური თავიანს ითხოვს. საღამოობით უნდა ვიმუშაო, შენ ხომ არ გამინაწყენდები?

— აბა რას ამბობ!

იმ საღამოსაც მურადი ბინიდან წავიდა. ოჯახის ქალს შინ საქმეს რა გამოულევს და ჯულიეტაც ხალიჩისაა ფუფფუებდა. მის თვალს ძილი არ ეკარებოდა. ღამე კი დაუარულებლად გრძელდებოდა. ცაზე უკანასკნელი ვრსკვლავი გაქრა. საათის ისრებმა დამარცხეს სამი, ოთხი, ხუთი. ქალი მკრთალი სინათლის ლიცლიცში ათვლდა ღამეს. იგი შიშმა შეიპყრო — მურადი ხომ არაფერი შეემთხვაო. როდის მოვა მურადი, როდის მოვა! — იმეორებდა გულში.

ქმრის მოლოდინში მთელი ღამე თეთრად გათენება. ის კი არა ჩანდა. ჯულიეტამ დილით ეს ამბავი მშობლებს შეატყობინა. მიიკითხა-მოიკითხეს, მოძებნეს, მაგრამ ცამ უყო პირი თუ დედამიწამ. ვერ გიპოვეს, არ ჩანდა მისი ბუნაკვალი, არ ჩანდა ამბის მომტანი.

ბინაში სიცივემ დაისადგურა. ახალგაზრდა, ცალი მარტოდმარტო დარჩა თავის ნაფიანან ფიქრებთან. გაცრუებულ იმედებთან.

ერთ დღეს ფოსტალიონმა ბარათი გადასცა. ჯულიეტას სახეზე დიდი მღელვარება აღბეჭდოდა და თვითეული ნაკვთი უთრთოდა. სასწრაფოდ გახსნა კონვერტი. „ამ ამბავს რომ შეიტყობ, ვიცი შენზე ძალზე იმოქმედებს. მე სხვაგვარად არ შემეძლო, რადგან მიყვარდა ერთი ქალიშვილი. არ იფიქრო, რომ მეჯავრებოდე, ან პატივს არ გცემდე, ხომ არ მეგიმხრნეკია ასეთი ქცევა შენდამი. მაგრამ მე უიმისოდ სიკვდილი მეძლის, უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. ჩვენს შეუღლებამდე მე და დოდოს ათი წელი გვიყვარდა ერთმანეთი. ისღა დამრჩენია დაგტოვო შენ და მომტანეო ყველაფერი. ძალიან მეცოდები, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. მურადი“.

ჯაკითხვა ვერ დაასრულა, მუხლები მოეკვეთა! ჩაიკეცა: რატომ, რისთვის? — ჩურჩულებდა ცალადგარჩენილი. სასწრაფოდ წამოიჭრა ადგილიდან, რომ სამინელ სიმარტოვეს გასცლოდა. მრუმდამვეზეული უხმოდ იდგა კარის ზღურბლთან და დაკარგული სიყვარულის მოსაგონარ დღეებს სხვიფამქრალი თვალებით ეთხოვებოდა.

ბაბარებელი თბილისის სადგურში ღრმა ქმნილი ჩამოდგა. ბაქანი გაივსო მგზავრებით, გამცილებლებით.

— ეჩქარე, დოდო, ეჩქარე, არავინ შეგვნიშნოს, — აფრთხილებს ვაკი ქალს. ვაგონში სწრაფად ავიდნენ. ადგილები დაიკავეს. — ძოლეს არ დავმარტოხელდით! სახეზე მოუსვენრობა ატყობდოდათ.

— ხომ ხედავ, რა ძალა აქვს ნამდვილ სიყვარულს? აი რა მოვიმოქმედე. მე სამსახური, შენ ინსტიტუტი დავტოვეთ, არა უშავს, დროებით გავცილდეთ აქაურობას, შორს, ყაზახეთში, ჩემს ძმასთან თავისუფლად ვიცხოვრეთ. ალბათ ჯულიეტა, იდარდებს, იდარდებს და შემდეგ დავავიწყდები.

ქალი მდუმარედ იყო, თითქოს ზმანეიდან ვერ გარკვეულაო. ყმაწვილის პირისპირ მჯდომი ფარულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. გულში კი ფიქრობდა: — ხომ შევძელი შენი ახლადშექმნილი ოჯახის დანგრევა და სახეზე გამარჯვებულის ღიმილი დასთამაშებდა.

ვაგონის სარკმლიდან სადგურის ბაქანისაკენ არ გადაუხედავთ. მათ არც არავინ აცილებდა. მატარებელი მძიმედ დაიძრა. თბილისის სადგური უკან მოიტოვა. მურადა და დოდომ შვებით ამოისუნთქეს.

მედიცინის და ჯულიეტა იმედაშვილი თბილისის ბავშვთა. მეთხუთმეტე პოლიკლინიკის ფილიალში სიყვარულით სარგებლობს. მოწონავე ქალიშვილი გასულ წლებში კოოპკავშირის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. იგი ახლა აგიტატორია და კულტმასობრივ მუშაობასაც ხელმძღვანელობს.

ცისმარე დილით პოლიკლინიკაში თეთრხალათიანი მტრედივით შემოფრთხიალდება, შეაქებს სიცოცხლე, ხალისი, ოთახებს დაიკლინის, ექიმებისაგან დაკალებებს მიიღებს და პატარა ავადყოფებზე ზრუნვას შეუდგება. მერე როგორ უყვარს ბავშვები, სუფთა, კრიალა თვალებით რომ შეაკურებენ მათთვის მოფუფუაქ დედას.

რა სიხარული განიცადა პოლიკლინიკის კოლექტივმა, როცა ჯულიეტას ქორწინებინა ანბავი. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის მუშაკი მურად ღონღაძე ჩინებულ სასიძოდ მიიღეს. მაშინ რას იფიქრებდა კაცი, თუ მურადის გულში მალე სხვა ვარკვლავი აელვარდებოდა, ოღონ კანონიერ მეუღლესთან წერილით ბოდიშს მოსდა მათი ოჯახის დასასრული გახდებოდა.

„ჩემო მურად! ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის არაფერი გვიწყენინებია. მერე რა მოხდა? ნუთუ ჩემზე არ ფიქრობ. აკი მეფიცებოდი, არასოდეს არ გიღალატებო“ — ჯულიეტამ გულგაცივებულ ქმარს ბარათი მისწერა, მაგრამ ამაოდ ელოდა მისგან დადებითი პასუხის მიღებას. ღალატით უპასუხებდა ის, ვინც სამუდამო მეგობრობას ეფიცებოდა.

მაგრამ იმედის ერთი ნაპერწკალი ძლიერად კრთოდა მის გულში. ეს იყო შვილის სიყვარულის დიდი გრძნობა, რომელსაც ფარული სიხარულით თან ატარებდა. ამის შესახებ იცოდა მურადმა. ყოფილი ქმარი გაჯავრებით იწერებოდა: „შვილი გინდ გააჩინე, გინდ არა. ჩემზე არავითარ გავლენას არ მოახდენს. ისე კი მას მამა არ ეყოლება“.

ჯულიეტა დედა გახდა. პატარა მაია უაზროდ შესცინის ყველას, დედიკოს. მამამ არ იცის პირმშოს ღიმილი. ქალიშვილის გაჩენას მურადმა დუმილით უპასუხა. ის ახლა ისევ სამეგობროებში, ყაზახეთიდან დაბრუნდა. ახალი მეუღლით მამისეულ კარმიდამოს ქვეშეთში მიაშურა. შვილის ნახვის სურვილი კი ჯერჯერობით არ აღძრია.

წინ გვიდევს ექიმ ნუნუ ხარაზიშვილის წერილი. იგი თავისი ცხოვრების ისტორიას მოგვითხრობს. მისმა მამამ — შოთა ხარაზიშვილმა 1940 წელს დედას — ლუბა კვაჭანტირაძეს ხელთ ჩაუტოვა ორი მ